



შპს „თბილისის 25-ე მოზრდილოთა პოლიკლინიკა“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის

დასკვნა

თბილისი

2024

შ ი ნ ა ა რ ს ი

№	დოკუმენტის დასახელება	გვ
1	დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკის“ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის შედეგების შესახებ	3-6
3	შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკის“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების პაკეტი	7- 24
3.1	ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის (ბალანსი)	8
3.2	სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის	9
3.3	ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის	10
3.4	შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკის“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე (შემოსავალი)	11
3.5	შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკის“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯი	12
3.6	შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკის“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე (კრედიტორული დავალიანება)	13
3.7	შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკის“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯი	14
3.8	შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკის“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე (დებიტორული დავალიანება)	15
3.9	განმარტებითი ბარათი შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკის“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე (დებიტორული დავალიანება)	19

შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკის“
ხელმძღვანელობას და პარტნიორს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკა“ (ს/ნ 208146834) 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის შედეგების შესახებ

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც მოიცავს: 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას; სრული შემოსავლებისა და მოგების-ზარალის ანგარიშგებას; საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას; ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას. ასევე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგებას.

პირობითი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკის“ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები, პირობითი მოსაზრების საფუძველის აზრით აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღისთვის.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე პირობითი მოსაზრების გაცემა განაპირობა შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკის“ ზომითი კატეგორიის საწარმოსთვის სავალდებულო სტანდარტების ცალკეული მოთხოვნების შეუსრულებამ ან იმგვარმა შესრულებამ, რომელიც არ იძლევა ანგარიშგებაში ასახული მაჩვენებლის განსაზღვრის სრულ და საკმარის სურათს. კერძოდ:

1. შემოსავლების ასახვა უნდა ხორციელდებოდეს იმ მოცულობით, რომლითაც შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მოხდება ეკონომიკური სარგებელის შემოღინება კომპანიაში, ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების დასაბუთებული შეფასება, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება უნდა ხდებოდეს მიღებული ან/და მისაღები სამართლიანი ღირებულებით;

2. კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის შედეგები ბოლო წლების განმავლობაში უარყოფით ნიშნულზე ფიქსირდება, და მისი ფუნქციონირება დამოკიდებულია ბიუჯეტიდან

მიღებულ სუფსიდიზე, რაც ეწინააღმდეგება მოგების მიღების მიზნით შექმნილ საწარმოს ფუნქციონირების პრინციპს;

3. ვინაიდან კომპანიის აუდიტორად დავინიშნეთ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ალტერნატიული პროცედურებით ვერ მივიღეთ საკმარისი რწმუნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რაოდენობასა და ღირებულებაზე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული ინვენტარიზაციის თანახმად. ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობების ნაშთებში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების კომპონენტებში;

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც, საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის ნორმების შესაბამისად.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ფინანსურ ანგარიშგებასთან განსხვავებული ისეთი გარემოებები, რომლის შესახებაც მოგვეთხოვება მათზე მომხმარებლის ყურადღების მიქცევა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე,

გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირები პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- ▶ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა

აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

► მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები კომპანიის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

► ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენ გვევალეობდა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოგვეთქვა მოსაზრება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3, მე-6 და მე-10 პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში, მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკის“ 2023 წლის მმართველობის ანგარიშგების მომზადება და წარდგენა არ ევალება.

შპს „გგ აუდიტ ჯორჯია“,

აუდიტორული კომპანია SARAS-F-387926

დირექტორი

გონი ვარუჩაძე

გარიგების პარტნიორი SARAS-A-458248

29.04.2024 წელი



**შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკის“ 2023 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების პაკეტი**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თანხები გამოხატულია ლარში

მოგება-ზარალის უწყისი			
საანგარიშო წელი	2021 ფაქტი	2022 ფაქტი	2023 ფაქტი
სულ შემოსავალი	355 887,39	332 429,22	299 513,35
მ.შ. შემოსავალი უცხოურ ვალუტაში გამოხატული ლარებში			
მ.შ. შემოსავალი ლარებში			
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (რსთ)	-	-	-
მ.შ. რსთ უცხოურ ვალუტაში გამოხატული ლარებში			
მ.შ. რსთ ლარებში			
1 შემოსავალი 1	355 887,39	332 429,22	299 513,35
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება			
2 შემოსავალი 2			
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება			
3 შემოსავალი 3			
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება			
4 შემოსავალი 4			
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება			
5 შემოსავალი 5			
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება			
საერთო მოგება	355 887,39	332 429,22	299 513,35
6 კომერციული, საერთო და ადმინ.-ლი ხარჯები	357 055,63	332 268,32	320 784,55
7 შრომის ანაზღაურება	289 026,80	265 455,03	252 501,42
8 დაზღვევა და სხვა სარგებელი			
9 საიჯარო გადასახადი			
10 კომუნალური ხარჯები	26 767,32	30 817,37	29 071,61
11 რეკლამა, მარკეტინგი			
12 ტრანსპორტირება			
13 მიმდინარე რემონტი			
14 გადასახადები			
15 ცვეთა/ამორტიზაცია	4 169,65	471,92	448,32
16 სხვა ხარჯები	37 091,86	35 524,00	38 763,20
საოპერაციო მოგება	(1 168,24)	160,90	(21 271,20)
17 არასაოპერაციო შემოსავალი	-	-	9 610,00
18 საპროცენტო შემოსავალი უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ლარში			
საპროცენტო შემოსავალი ლარში			
19 საიჯარო შემოსავალი			3 600,00
20 საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული მოგება			
21 კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება			
22 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი			6 010,00
23 არასაოპერაციო ხარჯები	-	-	-
24 საპროცენტო ხარჯები უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ლარში			
25 საპროცენტო ხარჯები ლარში			
26 კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი			
27 სხვა არასაოპერაციო ხარჯი			

მოგება დაბეგვრამდე		(1 168,24)	160,90	(11 661,20)
28	მოგების გადასახადი			
29	დღივდენდი			
წმინდა მოგება მუდმივი საქმიანობიდან		(1 168,24)	160,90	(11 661,20)
ერთჯერადი ოპერაციები				
30	წმინდა მოგება ერთჯერადი საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		(1 168,24)	160,90	(11 661,20)

დირექტორი:  /ნ. ჩახლაძე/
 მთ. პოლიკლინიკის:  /მ. მაზარაშვილი /


- შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკა“

ბალანსი

ბალანსი				
საანგარიშო წელი		2021 ფაქტი	2022 ფაქტი	2023 ფაქტი
1	ფული და ფულის ექვივალენტები	7 916,52	476,50	2 079,99
2	მოკლევადიანი ინვესტიციები			
3	მოთხოვნები მიწოდება/მომსახურებიდან			
4	წინასწარ გეწეული ხარჯები			
5	სასაქონლო მარაგი	-	-	-
6	მზა პროდუქცია			
7	დაუმთავრებელი წარმოება			
8	ნედლეული და მასალები			
9	წინასწარ გადახდილი გადასახადები	3 331,66	4 871,71	
10	სხვა მიმდინარე აქტივები	64 627,81	33 145,35	62 966,94
სულ მიმდინარე აქტივები		75 875,99	38 493,56	65 046,93
11	ქონება, მიწა, აღჭურვილობა	1 229 072,52	1 228 600,60	1 236 712,28
12	მიწის ნაკვეთები	28 900,00	28 900,00	28 900,00
13	შენობები	1 173 678,05	1 173 206,13	1 172 757,81
14	მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა	26 494,47	26 494,47	35 054,47
15	გრძელვადიანი ინვესტიციები			
16	გადავადებული საგად. აქტივები			
17	გრძელვადიანი მოთხოვნები			
18	არამატერიალური აქტივები			
19	სხვა გრძელვადიანი აქტივები			
20	სხვა სასაქონლო მარაგი		1 530,00	1 530,00
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 229 072,52	1 230 130,60	1 238 242,28
სულ აქტივები		1 304 948,51	1 268 624,16	1 303 289,21
20	საწესდებო კაპიტალი	1 221 415,00	1 221 415,00	1 221 415,00
21	სარეზერვო კაპიტალი	150,00	150,00	150,00
22	გაუნაწილებელი მოგება		160,90	
23	დაუფარავი ზარალი (-)	(1 168,24)		(11 661,20)
სულ საკუთარი კაპიტალი		1 220 396,76	1 221 725,90	1 209 903,80

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი				
საანგარიშო წელი		2021 ფაქტი	2022 ფაქტი	2023 ფაქტი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		6 015,00	(7 440,02)	1 603,49
სულ ფულადი ნაკადების შემოდინება		355 887,39	332 429,22	309 123,35
1	შემოსავალი 1. პროგრამული (ამბულატორიული მომსახურება დადგენილება 36	199 693,45	193 293,77	188 540,70
2	შემოსავალი 2. კოვიდ 19-ტესტირის პროგრამა	62 380,00	31 273,00	1 811,00
3	შემოსავალი 3. ც-პეპატიტი და შივი პესტიტების პროგრამა	333,00	75,00	63,00
4	შემოსავალი 4. სეზონური გრიპი იმუნიზაცია (აცრები)	165,00	285,00	177,00
5	შემოსავალი 5. შიდა სტანდარტით შემოსული (სალარო) თანხიდან	87 304,30	99 722,45	106 985,90
6	შემოსავალი 6. სადაზღვევო ჯგუფი იაჯიჯი	-	-	1 935,75
7	შემოსავალი 7. იჯარა	2 400,00	3 500,00	3 600,00
8	შემოსავალი 8. სხვა	3 611,64	4 280,00	6 010,00
საოპერაციო ფულადი სახსრების გადინება		357 055,63	339 869,24	320 335,62
6	- სასაქონლო მარაგების/წედლეულის შეძენა	10 170,06	11 099,70	1 812,39
7	- შრომის ანაზღაურება	289 026,70	265 455,03	252 501,42
8	- საიჯარო გადასახადი			
9	- კომუნალური ხარჯები	26 767,32	30 817,37	29 071,00
10	- ტრანსპორტირება			
11	- მიმდინარე რემონტი			
12	- გადასახადები			
13	- სხვა ხარჯები	31 091,55	32 497,14	36 950,81
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	-	-
14	- ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების შეძენა უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ლარში			
	- ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების შეძენა ლარში			
15	+ ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების გაყიდვა უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ლარში			
	+ ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების გაყიდვა ლარში			
16	- კაპიტალური ხარჯები			
17	+ მიღებული დივიდენდები			
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		-	-	-
18	+ შემოსულობები აქციების ემისიიდან			
19	+ შემოსულობები სესხების აღებიდან უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ლარში			
	+ შემოსულობები სესხების აღებიდან ლარში			
20	- გადახდილი სასესხო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ლარში			
	- გადახდილი სასესხო ვალდებულებები ლარში			
21	- გადახდილი დივიდენდი			
22	+ სხვა შემოსულობები ფინანსური საქმიანობიდან			
23	- სხვა გასაცემი ფინანსური საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახსრები		6 015,00	(7 440,02)	1 603,40
24	ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1 901,31	7 916,52	476,50
25	ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	7 916,51	476,50	2 079,99

დირექტორი:

[Handwritten Signature]

/6 ჩიხლაძე/

მთ. ბუღალტერი:

[Handwritten Signature]

/მ. მაზიშვილი /



შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკა“
შემოსავალი

	2023 წლის დარიცხული შემოსავალი	
№	შემოსავლები	შესრულების ანალიზი
1	საოპერაციო შემოსავლები	2023წ შესრულება
1.1	შემოსავალი რეალიზაციიდან	309123,35
1.1.1	ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშ. კომპ. ძირითად საქმიანობასთან (საქონლის და/ან მომსახურების მიწოდებასთან	X
1.1.2	პროგრამული შემოსავლები	299 513,35
1.2.1	საყოველთაო ჯანდაცვა (№36 დადგენილება) საბაზისო პაკეტი	188 540,70
1.2.2	კოვიდ-19	1 716,00
1.2.3	ც-პეპატიტი	63,00
1.2.4	სეზონური გრიპი	177,00
1.2.5	112- პროგრამა	95,00
1.2.6	იმუნიზაციის (ბავშვთა აცრები) მართვის პროგრამა	0,00
1.2.7	შემოსავალი შიდა სტანდარტით	106 985,90
1.2.8	აიჯიჯი საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი (რკინიგზელი თანამშრომლების მომსახურება)	1 935,75
3	გაყიდული საქონლის /მომსახურების დაბრუნება და ფასდათმობა	0
4	სხვა საოპერაციო შემოსავლები	0,00
5	არა საოპერაციო შემოსავლები	0
5.1	საპროცენტო შემოსავლები	0
5.2	დივიდენდები	0
5.3	არა საოპერაციო მოგება	0
6	სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებული შემოსავალი(კურსთა სხვაობის)	0
7	იჯარიდან შემოსავლები	3600,00
8	ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები, სუბსიდიები, დახმარებები და სხვა რომლებიც არ არის დაკავშირებული ორგანიზაციის ძირითად საქმიანობასთან	0
9	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	6010,00
	განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები	9610,00
	შემოსავლები სულ:	309123.35

დირექტორი:

[Handwritten Signature]

/ნ. ჩიხლაძე/

მთ. ბუღალტერი:

[Handwritten Signature]

/მ. მაზმიშვილი /



- შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკა“
პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯი

2023 წლის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯი

ფინანსური (სააღრიცხვო) ხარჯის გაშიფვრა პროდუქციის/
მომსახურების თვითღირებულებაზე მიკუთვნების წესის მიხედვით:

დასახელება	მათ შორის	სულ ხარჯი
2	3	4
პირდაპირი ხარჯი		203135.22
ხელფასი		178421,42
ექიმის ხელფასი	139418,73	
მედიკოს ხელფასი	39002,69	
დამხმარე მასალები სულ:		10811,80
რენტდენის ფირები	1870,00	
გამოსამკლავებელი ფირების	115,00	
სხვადასხვა დასახელების სამედიცინო პროდუქცია	4781,80	
ლაბორატორიული რეაქტივები-	3397,00	
სამედიცინო ფორმები, ჟურნალები ანკეტები.	648,00	
ინდივიდუალური დოზიმეტრია	470,00	470,00
ლაბორატორიული ანალიზების მომსახურება	11512,00	11512,00
სამედიცინო ნარჩენების განადგურება	1920,00	1920,00
არაპირდაპირი ხარჯი		117350.83
ადმინისტრაციის ხელფასი	74080,00	74080,00
კომუნალური ხარჯი		29071,61
ტელეფონი	303,46	
ინტერნეტი	1680,00	
ელექტრო-ენერგია	7277,84	
დასუფთავების ხარჯი	4113,12	
წყალი	6765,30	
გაზი (აირი)	8931,89	
მიწის გადასახადი	466,22	466,22
სამეურნეო ხარჯი		1583,25

ქლორი.საპონი საწმენდი ტილოები.მასტიკა და სხვადასხვა წვრილმანი	611,25	
სანტექნაზე გაწეული მომსახურება და სადურგლო ხარჯები	972,00	
საბუღალტრო პროგრამა,სალარო აპარატის გადასახადი	1371,63	1371,63
აუდიტი	1800,00	1800,00
ბანკის %-ნტი	254,44	254,44
კომპიუტერული მომსახურება, კატრიჯების დამუხტვა მომსახურება	896,50	896,50
ტრანსპორტის ხარჯი		
საკანცელარიო	825,50	825,50
ლაბორატ,შემოწმება და დამიწება	140,00	140,00
საგადასახადო დავალიანება	4687,91	4687,91
საპენსიო დარიცხვა	1273,95	1273,95
ცვეთა-ამორტიზაცია	448,32	448,32
სხვა ხარჯი სულ: მათ შორის		750,00
ტენდერის გამოცხადების ხარჯი ხელშეკრულება	500,00	
ტრენინგის გადასახადი	200,00	
ტენდერის გამოცხადების ხარჯი	50,00	
სულ ხარჯი:	320784,55	320784,55

დირექტორი:

[Handwritten signature]

/6 ჩიხლაძე/

მთ. ბუღალტერი:

[Handwritten signature]

/მ. მაზმიშვილი /



- შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკა“

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება 2024 წლის 1 იანვრისთვის					
№	კრედიტი	ნაშთი 01.01.2023 წ	კრედიტი	დებეტი	ნაშთი 01.01.2024 წ
2	ხელფასი	31986,66	52600,33		84586,99
3	საშემოსავლო		1157,95		1157,95
4	საპენსიო გადასახადი 2%+ 2%	214,32	193,68		408,00
5	შ.პ.ს.„ექსპრესდიაგნოსტიკა“ (სამედიცინო ნარჩენები)	130,00	30,00		160,00
6	შპს „ზერე“რენდგენის სახარჯი მასალა		210,00		210,00
7	საკანცელარიო და კომპიუტერული მომსახურება		95,00		95,00
8	სამედიცინო ჟურნალები და ანკეტები				
9	ტელეფონი და ინტერნეტის ხარჯი	176,29		5,72	170,57
10	წყლის ხარჯი	600,00		240,78	359,22
11	აირი (გაზი) გადასახადი	2693,25		223,17	2470,08
12	ელექტროენერგიის ხარჯი	1122,96		427,12	695,84
13	დასუფთავება	342,76			342,76
14	შპს „ერჯილაბ“ ლაბორატორიალიზები.	671,00	2058,00		2729,00
15	დოზიმეტრია	470,00		470,00	
	სულ:	38407,24	56344,96	1366,79	93385,41

დირექტორი:



/5 ჩიხლაძე/

მთ. ბუღალტერი:



/8. მაზმიშვილი /



- შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკა“
დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება 2024 წლის 1 იანვრისათვის					
№	დებიტორი	ნაშთი 01.01.2023 წ	დებეტი	კრედიტი	ნაშთი 01.01.2024წ
1	ერთიანი სახაზინო კოდი საგადასახადო	4871,71		4687,91	
2	სახელმწიფო პროგრამა საყოველთაო დაზღვევა	31987,10	30150,69		62137,69
3	(COVID-19)კორონავირუსის პროგრამა	996,00		996,00	
4	ც-ჰეპატიტი და შიცის პროგრამა	6,25	16,75		23,00
5	პროფილაქტიკური აცრები, სეზონური გრიპის აცრები	156,00	21,00		177,00
6	სადაზღვევო ჯგუფი აიჯიჯი		629,25		629,25
	სულ	38017,06	30817,69	5683,91	62966,94

დირექტორი:



/ნ. ჩიხლაძე/

მთ. ბუღალტერი:



/მ. მაზმიშვილი /



განმარტებითი ბარათი

კომპანია და მისი საქმიანობა

ზოგადი მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

შპს „თბილისის 25-ე მოწრილთა პოლიკლინიკის“ (შემდგომში „კომპანია“) მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას წარმოადგენს. კომპანია დაფუძნდა 2000 წლის 6 მარტს.

კომპანია დაარეგისტრირა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და მისი რეგისტრაციის ნომერია: 208146834.

კომპანიას მიღებული საქართველოს ჯარმთველობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის განხორციელების ლიცენზია #00311.

კომპანიის 100 %-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო ორგანო - ქალაქ თბილისის მერია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში არ ხორციელდება.

- **ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი**

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

- **შეფასების საფუძველი**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები მოცემულია ქართულ ლარში დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

მსს ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადდება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და

ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

-
- **ფუნქციონირებადი საწარმო**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

არაფინანსური აქტივების გაუფასურება და სამართლიანი ღირებულების შეფასება

თითოეული ბალანსის შედგენის დღეს კომპანია სამართლიანი ღირებულებით უნდა აფასებდეს ფინანსურ ინტრუმენტებს, როგორცაა სავაჭრო და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, წარმოებულებები და არაფინანსური აქტივები, როგორცაა საინვესტიციო ქონება.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი ოპერაციის დროს შეფასების დღეს. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება დაშვებებს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ოპერაცია ხორციელდება:

აქტივებისა ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე; ან მთავარი ბაზრის არარსებობისას, აქტივისა ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპანიის მიერ. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულებების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ თავიანთი საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება ითვალისწინებს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი აქტივის საუკეთესოდ და ეფექტურად გამოყენებით ან მისი ბაზრის სხვა მონაწილეებისთვის მიყიდვით, რომელიც გამოიყენებს ამ აქტივს ყველაზე ეფექტურად და საუკეთესოდ.

კომპანია არ იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო საკმარისი მონაცემები, შესაბამის დაკვირვებას დაქვემდებარებული მონაცემების მაქსიმუმამდე გაზრდით და არადაკვირვებადი მონაცემების მინიმუმამდე შემცირებით.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულება ფასდება ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში ფასდება სამართლიანი ღირებულების ქვემოთ წარმოდგენილი იერარქიის ფარგლებში, ყველაზე დაბალი დონის მონაცემების საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების მთლიანობაში შესაფასებლად:

► დონე 1 - კოტირებული (არაკოტირებული) ფასები აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.

► დონე 2 - შეფასების მეთოდები, რომლის ყველა ქვედა დონის მონაცემები, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ექვემდებარება დაკვირვებას.

► დონე 3 - შეფასების მეთოდი, რომლის ყველაზე ქვედა დონის მონაცემები, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, არ არის წარმოდგენილი.

ფინანსურ ანგარიშგებებში აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც აღიარებულია განმეორების საფუძველზე, კომპანია განსაზღვრავს მოხდა თუ არა გადარიცხვები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იერარქიაში დონეებს შორის კატეგორიზაციის გადაფასებით (ყველაზე დაბალი დონის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად).

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში - ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი

აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისთვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე, როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

მიწა და უძრავი ქონება და ინფრასტრუქტურული აქტივები ექვემდებარება რეგულარულ გადაფასებას. გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია ხალახლა შესაფასებელი აქტივის სამართლიან ღირებულებაში მოძრაობაზე.

მცირე რემონტების და ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღრიცხვა ხდება მათი გაწევის შემდეგ. ხდება ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტების შეცვლის ღირებულების კაპიტალიზაცია, ხოლო შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივების ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივი მზად არის და ხელმისაწვდომია გამოყენებისთვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით.

ცვეთა

მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ იცვითება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

სასარგებლო ვადა (წელი)

შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5-13
სატრანსპორტო საშუალებები	5
ოფისის აღჭურვილობა	5-13
ავეჯი და ინვენტარი	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის წრფივი მეთოდის გადახედვა, სასიცოცხლო ვადის განუსაზღვრელობამდე. არამატერიალური აქტივებისთვის, განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადით, ტარდება გაუფასურების ტესტი წლიურად. არამატერიალური აქტივები იცვითება იმ თარიღიდან, როცა გამოიყენება. სასიცოცხლო ვადა არის 15-25 წელი. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდის გადახედვა ხდება წლიურად და კორექტირდება შესაბამისად.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება შემცირდება მისი გამოყენების შედეგად მიღებული ღირებულებას და სამართლიან ღირებულებას შორის უფრო მაღალ ღირებულებამდე, გაყიდვის ხარჯის გამოკლებით.

კომპანია ფლობს არამატერიალურ აქტივს ბუნებრივი მტკნარი წყლის მოპოვების ლიცენზიის სახით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა ფიფო ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შემენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვებისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი

სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება, როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შემდეგ „კომპანიას“ აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხის განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯი.

შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდიდება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულების განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. კომპანიამ დაასკვნა, რომ იგი მოქმედებს პრინციპალის სახით შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა შეთანხმებაში. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სათანადო საფუძველი ვარაუდისა, რომ ასეთი გრანტი მიღებული იქნება. იმ შემთხვევაში, როდესაც გრანტების მიღება დაკავშირებულია გარკვეულ პირობებთან, მისი აღიარება ხორციელდება ასეთი პირობების დაკმაყოფილების გრანტიის არსებობის შემთხვევაში. როდესაც გრანტი შეეხება ხარჯების მუხლს, მისი აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა გრანტის სისტემური მისადაგებისთვის იმ ხარჯებთან, რომელთა ასანაზღაურებლად არის განკუთვნილი. როდესაც გრანტი შეეხება აქტივს, მისი აღიარება ხორციელდება გადავადებული შემოსავლის სახით და აისახება მოგებაში ან ზარალში თანაბარი რაოდენობით შესაბამისი აქტივის სავარაუდო სასარგებლო გამოყენების განმავლობაში.

როდესაც კომპანია იღებს არაფულად გრანტს, ეს აქტივი და გრანტი აისახება მიღებული არაფულადი აქტივების მთლიანი სამართლიანი ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულებების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2022	31 დეკ 2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	476.50	2079.99
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	476.50	2079.99

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

მარაგები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2023
ნედლეული და მასალები		
სულ მარაგები		

საგადასახადო აქტივები	31-დეკ-2022	31-დეკ-2023
დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)	0	0
სხვა საგადასახად ვალდებულებები		
სამემოსავლო გადასახადი	0	0
სულ საგადასახადო აქტივები	8705.34	1565.85

მომსახურებიდან ამონაგები ფორმირებულია წყლის მიწოდების შედეგად. აღნიშნულ მომსახურებაზე ტარიფი დადგენილია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის მიერ 2013 წლის 16 იანვარს.

შემოსავალი სუბსიდიებიდან

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელი ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“, 36-ე დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, გარდა:

- ა) „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლებებისა;
- ბ) „ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლებებისა;
- გ) 2013 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით კერძო სადაზღვევო სექტორში ჩართული პირებისა;
- დ) იმ ბრალდებული/მსჯავრდებული პირებისა, რომლებიც იმყოფებიან პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

პროგრამული შემოსავლები	299 513,35
საყოველთაო ჯანდაცვა (№36 დადგენილება) საბაზისო პაკეტი	188 540,70
კოვიდ-19	1 716,00
ც-ჰეპატიტი	63,00
სეზონური გრიპი	177,00
112- პროგრამა	95,00
იმუნიზაციის (ბავშვთა აცრები) მართვის პროგრამა	0,00

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. **საოპერაციო და იურიდიული** რისკის მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 5) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ფულადი სახსრები ბანკში

ფულადი სახსრები ბანკში მოიცავს მოთხოვნამდე ანაზღაურებას ბანკში და სხვა მოკლევადიან, მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა შეადგენს სამ თვეს ან უფრო ნაკლებ პერიოდს და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები ტარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ბანკის ფულადი სახსრებიდან ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის მიზნებისთვის. ნაშთები, რომელთა გაცვლა ან გამოყენება ვალდებულებების დასაფარად აკრძალულია საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში, მიკუთვნებულია სხვა გრძელვადიანი აქტივებისთვის. ყველა ფული ბანკის ბალანსებზე კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე და არაგაუფასურებული.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად „ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუუმებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შედავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან არ განხორციელებულა :

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	ხელფასის ხარჯი	კაპიტალის გაზრდა	სუბსიდია	სულ
საერთო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერი				
მფლობელი საჯარო				
სამართლის	-	-	-	-
იურიდიული				
თბილისის მერია	-	-	-	-
სულ	-	-	-	0.00

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.